

UDC 336.12

SCOPUS CODE 1402

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-1-112-118>

ადგილობრივი და საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების როლი სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაში

ლევან
გრიგალაშვილი

ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: l.grigalashvili@gtu.ge

ავთანდილ
მამასახლისი

ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: avtandilmamasakhlisi@gmail.com

რეცენზენტები:

გ. ცაავა, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: g.tsaava@gtu.edu.ge

გ. სახოკია, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის მოწვეული ასოცირებული პროფესორი

E-mail: g.saxokia@gtu.ge

ანოტაცია. სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი როლი უჭირავს ადგილობრივ და საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია ერთი ადგილობრივი, ხოლო ხუთი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი. ადგილობრივ გადასახადს მიეკუთვნება ქონების გადასახადი, ხოლო საერთო-სახელმწიფოებრივს – საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი და იმპორტის გადასახადი. ყურადღებას თუ არ

გავამახვილებთ სახელმწიფოს მიერ მიღებულ გრანტებსა და სხვა შემოსავლებზე, რომლებიც 2023 დასრულებული წლის მონაცემებით სრული საბიუჯეტო შემოსავლების 9,2%-ს შეადგენდა, ნათლად წარმოგვიჩნდება ადგილობრივი და საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების მნიშვნელობა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისთვის. გლობალური საბაზრო ეკონომიკის გათვალისწინებით, რაც უფრო მეტად დაიხვეწება გადასახადო სისტემა და ოპტიმიზებული იქნება როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისთვის, მით უფრო მეტი პოტენციალი გაჩნდება ინვეს-

ტიციის მოზიდვისა და დაინტერესების როგორც ადგილობრივი სუბიექტებისთვის, ისე უცხოური საინვესტიციო ორგანიზაციებისთვის, რაც ბიზნესის წახალისებასა და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას შეუწყობს ხელს.

საკვანძო სიტყვები: ადგილობრივი გადასახადები; საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები; სახელმწიფო ბიუჯეტი; საგადასახადო კოდექსი.

შესავალი

განვიხილოთ თუ რა როლის მატარებელია სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები. ამისათვის საჭიროა ჩამოვყალიბოთ საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადების ევოლუცია და მათი ამჟამინდელი სახე სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაში. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ საბიუჯეტო გადასახადებზე: დამატებული ღირებულების გადასახადი, მოგების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი.

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე სამყაროში ბიუჯეტის სწორად და ეფექტიანად ფორმირება პირდაპირ კავშირშია საგადასახადო პოლიტიკასთან, რომელიც ერთის მხრივ უნდა იყოს ეფექტური და სახელმწიფოს ინტერესის მატარებელი, ხოლო მეორეს მხრივ გადასახადის გადამხდელის მოთხოვნებისა და უფლებების დამცველი. სწორი საგადასახადო სისტემის გარეშე წარმოუდგენელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და ბიზნესგარემოს პირობების გაუმჯობესება. ეკონომიკური პროცესების მართვაში გადასახადები ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც იცვლება ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად. კვლევებმა გვიჩვენა, რომ საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებასთან ერთად ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკა მუდმივ ცვლილებებს განიცდიდა, რომელიც შეიძლება განვიხილოთ როგორც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი და ახალი შესაძლებლობების მიღწევის საშუალება.

საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობა ჯერ კიდევ XX ს-ის 90-იან წლებში გამოიკვეთა. იმ დროისთვის არსებული ჩრდილოვანი ეკონომიკის მაღალი დონე და კორუფცია გადასახადის გადამხდელს გადასახადისგან თავის არიდების საშუალებას აძლევდა. იმავდროულად, გადასახადის განაკვეთები იყო ძალიან მაღალი და დაუსაბუთებელი, რაც მუდმივად იწვევდა პრობლემებს საბიუჯეტო შემოსავლების ფორმირებაში. გადასახადების რეგულირება საჭიროებდა საკანონმდებლო ჩარჩოში მოქცევას, რაც დაასტაბილურებდა და შექმნიდა ნორმალურ საგადასახადო სისტემას. 2005 წელს სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა, როდესაც ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი. მან ხელი შეუწყო გარკვეული გადასახადების რაოდენობის შემცირებას და ჯერ 7-მდე, შემდეგ კი 6-მდე შეამცირა (ერთი ადგილობრივი, ხუთი – საერთო-სახელმწიფოებრივი). ჩანაწერებში ასევე გაჩნდა გადასახადის განაკვეთები, რომლებმაც მიიღო ფიქსირებული სახე.

საგადასახადო სისტემამ შემდეგ წლებში განიცადა რეფორმირება. 2011 წელს ძალაში შევიდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელმაც მეწარმეობის სფეროს სტიმულირებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი

საგადასახადო სისტემამ შემდეგ წლებში განიცადა რეფორმირება. 2011 წელს ძალაში შევიდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელმაც მეწარმეობის სფეროს სტიმულირებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი

როლი შეასრულა - გაჩნდა სპეციალური დაბეგვრის სტატუსები – მიკრო- და მცირე ბიზნესი. მიკრო- და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე საწარმოებს შესაძლებლობა მიეცათ კანონმდებლობის ფარგლებში გარკვეული შეღავათით ესარგებლათ და შეემსუბუქებინათ საბიუჯეტო გადასახადის ტვირთი.

საბიუჯეტო შემოსავლების ფორმირებაში ბოლო ხუთწლეულის განმავლობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცვლილებად შეგვიძლია მივიჩნიოთ 2017

წლის პირველი იანვრიდან მოგების გადასახადის ესტონურ მოდელზე გადასვლა, რომელიც მიზნად ისახავდა ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას, უმუშევრობის შემცირებას, ბიზნესის გაფართოებასა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას. მოგების გადასახადის ესტონურმა მოდელმა 2017 წელს საბიუჯეტო შემოსავლის მაჩვენებელი მოგების გადასახადის მიხედვით 2016 წელთან შედარებით 30%-ით შეამცირა, რაც ნათლად ჩანს პირველ ცხრილში.

ცხრილი 1

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები 2016–2017 დასრულებული წლისთვის, 2018 წლის გეგმა.

დასახელება	2016 წლის ფაქტ.	2017 წლის ფაქტ.	2018 წლის გეგმა
გადასახადები	7,986,750.3	8,991,307.5	9,690,000.0
საშემოსავლო გადასახადი	1,978,136.4	2,525,970.7	2,840,000.0
მოგების გადასახადი	1,055,936.5	756,555.5	740,000.0
დამატებითი ღირებულების გადასახადი	3,286,393.4	4,122,612.8	4,430,000.0
აქციზი	1,069,658.1	1,450,921.9	1,440,000.0

ამ ცვლილებებმა დადებითად იმოქმედა როგორც 2017 წელზე, ისე მომდევნო წლებზეც, რომელიც დასტურდება მე-2 ცხრილის მაჩვენებლებითაც, კერძოდ შემოსავლების მოცულობა 2023 წელს წინა წელთან შედარებით 13%-ით გაიზარდა.

ანალოგიურად, მაღალია ბიუჯეტის საერთო მოცულობაში სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების ხვედრითი წილი. ვფიქრობთ, რომ სახელმწიფოებრივი გადასახადების ოპტიმიზაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები 2022–2023 დასრულებული
წლისთვის, 2024 წლის გეგმა. (ათ. ლარი)

დასახელება	2022 წლის ფაქტ.	2023 წლის ფაქტ.	2024 წლის გეგმა
სულ შემოსავლები	16,450,247.4	18,716,484.4	21,726,000.0
გადასახადები	14,976,686.1 91%	16,994,174.9 90.8%	20,190,000.0 92.9%
გრანტები	359,062.1 2.2%	325,789.8 1.7%	266,000.0 1.2%
სხვა შემოსავლები	1,114,499.2 6.8%	1,396,519.8 7.5%	1,270,000.0 5.9%

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურა 2019–2023 წლებისათვის შემდეგ სურათს იძლევა (იხ. ცხრ. 3)

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები 2019–2023
დასრულებული წლისთვის (ათ. ლარი).

დასახელება	2019 წლის ფაქტ.	2020 წლის ფაქტ.	2021 წლის ფაქტ.	2022 წლის ფაქტ.	2023 წლის ფაქტ.
გადასახადები	9,665,567.6	9,364,779.4	11,439,488.6	14,976,686.1	16,994,174.9
საშემოსავლო გადასახადი	3,200,254.7 (33.11%)	3,079,840.2 (32.89%)	3,491,520.1 (30.52%)	4,644,377.3 (31.01%)	5,574,816.6 (32.80%)
მოგების გადასახადი	866,288.9 (8.96%)	919,440.6 (9.82%)	1,015,296.1 (8.88%)	1,930,151.4 (12.89%)	2,018,166.5 (11.88%)
დამატებული ღირებულების გადასახადი	4,243,606.7 (43.90%)	3,918,159.1 (41.84%)	4,883,933.1 (42.69%)	6,036,823.5 (40.31%)	6,793,665.8 (39.98%)
აქციზი	1,506,675.8 (15.59%)	1,619,392.3 (17.29%)	1,868,783.7 (16.34%)	2,010,227.8 (13.42%)	2,270,263.9 (13.36%)
იმპორტის გადასახადი	79,073.8 (0.82%)	74,369.0 (0.79%)	86,361.9 (0.75%)	125,992.0 (0.84%)	151,212.0 (0.89%)

ცხრილში მოცემული მაჩვენებლებით აშკარად გამოკვეთილ პოზიციას იკავებს ბიუჯეტის მაფორმირებელი ორი ძირითადი გადასახადი – საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადი. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ საშემოსავლო გადასახადის კლების დიაპაზონი კოვიდ პანდემიის პერიოდს უკავშირდება. უდიდესი ეკონომიკური ზიანი მიიღო ტურიზმის სფერომ – სასტუმროებმა და კვებითა ორგანიზაციებმა, რამაც შეამცირა მუშახელის რაოდენობა. შემცირებულმა თანამშრომელთა რაოდენობამ გამოიწვია საშემოსავლო გადასახადის თითქმის 3%-იანი კლება გასულ წლებთან შედარებით. ეპიდემიური ვითარების დასტაბილურების შემდეგ შიგა ეკონომიკა ისევ იწყებს აღმასვლას, სახეზე გვაქვს დროებით შეჩერებული/დახურული ობიექტების გააქტიურება, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას. ბოლო მონაცემებით, საშემოსავლო გადასახადის პროცენტული მაჩვენებელი მთლიანი საბიუჯეტო შემოსავლებისთვის თითქმის მესამედს შეადგენს.

შეუძლებელია ყურადღება არ გავამახვილოთ გადასახადზე, რომელსაც ყველაზე მეტი პროცენტული ხვედრითი წილი აქვს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში. დღე წარმოადგენს არაპირდაპირ გადასახადს, რომელიც არის მიწოდებული საქონლის ან/და გაწეული მომსახურების ფასზე დანამატი. სახელმწიფოს ინტერესი უნდა იყოს ჯანსაღი ეკონომიკური გარემოს შექმნა, რადგან რაც უფრო მეტად გაზრდის კომპანია თავის შემოსავალს, მით უფრო გაიზრდება საბიუჯეტო გადასახადის მოცულობაც. დამატებული ღირებულების გადასახადი სახელმ-

წიფო ბიუჯეტის შემოსავალში საშუალოდ ყოველწლიურად 40%-იან მაჩვენებელს შეადგენს, რაც მის მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის შემოსავლის უდიდესი ნაწილი შედგება საგადასახადო შემოსავლებისგან, ვფიქრობთ, რომ საჭიროა ბიზნესის წახალისებისთვის გარკვეული საგადასახადო ინსტრუმენტები (მაგალითისთვის შეგვიძლია განვიხილოთ პანდემიის პერიოდში შეღავათი საშემოსავლო გადასახადში).

საყურადღებოა 2018 წელს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საგადასახადო ამინსტიის შესახებ – 2013 წლის 1 იანვრამდე წარმოქმნილი გადაუხდეელი საგადასახადო დავალიანებისა და საურავის ჩამოწერის თაობაზე, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო ფულადი ნაკადების რეინვესტირებასა და ეკონომიკური პროცესების განვითარებას. ვადაგადაცილებული დავალიანებების ჩამოწერის პროცესმა მასშტაბური სახე შეიძინა და საბოლოო ჯამში 3,5 მილიარდ ლარზე მეტი საგადასახადო დავალიანება და საურავი ჩამოიწერა.

ვინაიდან საბიუჯეტო შემოსავლების ყველაზე დიდი ნაწილი დამატებული ღირებულების გადასახადზე მოდის, 2021 წლიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში სრულიად შეიცვალა დღის ნაწილი, რომელშიც უკეთ განიმარტა სადავო დებულებები. დღე-ის მარეგულირებელი მუხლები სრულიად ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა, რამაც უფრო მკაფიო და კონკრეტული გახადა კანონის მოქმედების პრინციპები. კანონის მთავარ ცვლილებას წარმოადგენდა საერთაშორისო საკანონმდებლო სტანდარტებთან შესაბამისობა. ჩანაწერები გაჩნდა

უიმედო და აღიარებული დავალიანებების ჩამოწმის თაობაზე, ახლებურად განისაზღვრა ეკონომიკური სქმიანობის არსი (განმარტება), დღგ-ით დასაბეგრი პირის დეფინიცია. ცვლილება შევიდა მომსახურების გამწვევსა და მომსახურების მიმღებ ორგანიზაციებს შორის, ტრანზაქციებსა და მომსახურების გაწევის ადგილებს შორის და სხვ

დასკვნა

როგორც განვითარების სტადიაში მყოფი ქვეყანა, ჩვენი ინტერესია მაქსიმალურად მივუახლოვდეთ და დავნერგოთ საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც მაქსიმალურად თანხვედრაში იქნება ჩვენს საგადასახადო კოდექსთან. ფაქტია, რომ საქართველოს საბიუჯეტო ფორმირებაში უდიდესი როლი უჭირავს საერთო-სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გადასახადებს. ერთის მხრივ სწორი საგადასახადო პოლიტიკა იძლევა საშუალებას მი-

იღოს მოსალოდნელი შემოსავალი სხვადასხვა სახის გადასახადებიდან, ხოლო მეორეს მხრივ ხელი შეუწყოს ბიზნესგარემოს ჰარმონიზებაში. შეღავათიანი დაბეგვრის სტატუსის შემოღებამ სტიმული მისცა მცირე და მიკრომეწარმეებს ჩართულობაში ეკონომიკურ საქმიანობაში, რაც, თავის მხრივ, გაზრდის ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავალს. რაც უფრო მეტად შეძლებს კანონმდებელი საგადასახადო სისტემის ჰარმონიზაციას, მით მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი იქნება ბიზნესსექტორი, რომელიც გაზრდის როგორც საკუთარ, ისე ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავალს.

საბაზრო ეკონომიკის განვითარების პროცესების გათვალისწინებით მაქსიმალურად საჭიროა ბიზნესზე მორგებული საგადასახადო გარემოს შექმნა, რომელიც მიიღწევა გადასახადების ოპტიმიზაციით, საგადასახადო განაკვეთების შემცირებით, საგადასახადო შეღავათებით და სხვ.

ლიტერატურა

1. Grigalashvili, L., (2024), - Tax accounting and reporting, Course of lectures, Publish House GTU , Tbilisi;
2. Tsaava, V., Abzalava, A., Grigalashvili, L., and Burdiashvili, R. , (2023) On fair distribution of the tax burden of direct and indirect taxes. Magazine "Business and Legislation", N1, pp.
3. Economic profile - some problematic issues of the liberalization of the tax system of Georgia. Volume 16, 2021
4. Quarterly statement of the 2023 consolidated budget of Georgia, the decrease of non-financial assets and the decrease of financial assets and the state budget of Georgia for 2023.
5. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=224> - Tax Code of Georgia.
6. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91006?publication=63> - Budget Code of Georgia.
7. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4864421?publication=18> - Resolution of the Government of Georgia #286.
8. <https://www.mof.ge/5603>- Quarterly statement of the 2023 consolidated budget of Georgia, the decrease of non-financial assets and the decrease of financial assets and the state budget of Georgia for 2023

UDC 336.12

SCOPUS CODE 1402

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-1-112-118>

The Role of Local and General-state Taxes in the Formation of the State Budget

levan Grigalashvili

Department of business administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.

E-mail: l.grigalashvili@gtu.ge

Avtandil Mamasakhlisi

Department of business administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.

E-mail: avtandilmamasakhlisi@gmail.com

Reviewers:

G. Tsaava, professor, faculty of business technologies, GTU

E-mail: g.tsaava@gtu.edu.ge

G. Sakhokaia, professor, faculty of business technologies, GTU

E-mail: g.saxokia@gtu.ge

Abstract. Local and general-state taxes play one of the largest roles in the formation of the state budget. The current legislation in Georgia defines one local and five general-state taxes. Local taxes include property tax, and general-state taxes include income tax, profit tax, value-added tax, excise duty and import duty. If we do not focus on the grants and other revenues received by the state, which, according to the data of the year ended in 2023, constituted 9.2% of the total budget revenues, the importance of local and general-state taxes for the revenues of the Georgian state budget becomes clear. Considering the global market economy, the more the tax system is refined and optimized for both individuals and legal entities, the greater the potential for attracting investment and interest from both local entities and foreign investment organizations, which will encourage business and increase budget revenues

Keywords: common-state taxes; local taxes; state budget; tax code.

განხილვის თარიღი 04.10.2024

შემოსვლის თარიღი 09.12.2024

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.03.2025